წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

განკარგულება:**გ-119. 11924213001**

თარიღი:**31/07/2024**

მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები"-ს 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-2, მე-4 პუნქტებისა და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა წალკის მუნიციპალიტეტის მერს პირდაპირი განკარგვის წესით, წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (N85.17.25.007 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 118252 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 50 კვ.მ.-ის (კოორდინატები: 4402455; 41707375), N85.22.21.007 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 658248 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 50 კვ.მ. -ის (კოორდინატები: 44203302; 41718979) და N85.02.22.013 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 55438 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 50 კვ.მ.-ის (კოორდინატები: 44116218; 41695438) (საძოვარი) გასცეს შპს „სელფი მობაილ"-ს სარგებლობაში იჯარის ფორმით 5 წლის ვადით;

2. საიჯარო ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 18000 (თვრამეტიათასი) ლარის ოდენობით;

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი